



გზამკვლევი

პერსონალური მონაცემების დაცვის
კანონმდებლობა საქართველოში

KPMG Law Georgia

2023



სარჩევი

04 რა არის პერსონალური მონაცემები

12 მონაცემთა სუბიექტის უფლებები

06 პერსონალური მონაცემის დამუშავება

13 დამმუშავებლის ვალდებულებები

07 დამუშავების პრინციპები და საფუძვლები

16 სხვა საკითხები

10 მონაწილე პირები

18 სანქციები



შესავალი

დღესდღეობით, იშვიათად შეხვდებით ისეთ ორგანიზაციას, რომელიც არ ამუშავებს ან სხვაგვარად არ არის შემხებლობაში პერსონალურ მონაცემებთან. ინდუსტრიისა თუ პროდუქტის მიუხედავად მომხმარებლების, თანამშრომლებისა და პარტნიორების შესახებ მონაცემების შეგროვება, შენახვა და გამოყენება, ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს. შესაბამისად, ყველა იმ ორგანიზაციას თუ პირს, რომელიც გარკვეულ შემხებლობაში იმყოფება პერსონალურ მონაცემთან, გააჩნია საკუთარი როლი აღნიშნულ პროცესში, რასაც შესაბამისი უფლებები და პასუხისმგებლობები მოყვება.

გლობალურად, კომპანიების მონაცემთა დამუშავების წესი მკვეთრად 2018 წლის 25 მაისიდან შეიცვალა, როდესაც ძალაში შევიდა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებული მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR). აღნიშნულმა რეგულაციამ სრულიად ახლებურად დაარეგულირა პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული საკითხები, დაადგინა მონაცემების დაცვის ახალი სტანდარტები, ასევე შემოიღო პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ახალი ცნებები და ინსტიტუტები.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ წარმოადგენს ევროკავშირის წევრს, GDPR-ის მოქმედება არაპირდაპირ მაინც ვრცელდება საქართველოზეც. ის ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული ევროკავშირში, თუმცა ამუშავებენ ევროკავშირში მყოფი პირების

მონაცემებს ექვევან GDPR-ის მოქმედების არეალში. GDPR გარკვეულწილად იქცა პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო სტანდარტად. შესაბამისად საქართველოს მიზანია მოიყვანოს ადგილობრივი კანონმდებლობა GDPR-თან შესაბამისობაში.

საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 14 ივნისს მიიღო ახალი კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ („კანონი“), რომელმაც მთლიანად შეცვალა კანონის არსებული რედაქცია. ახალი კანონი არამხოლოდ აწესებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალ სტანდარტებს, არამედ ამკვიდრებს დამატებით პრინციპებს და ვალდებულებებს, რომელიც ორგანიზაციებმა უნდა დაიცვან პერსონალური მონაცემების დამუშავებისას. ცხადია, ამგვარი ძირეული ცვლილებები თითოეული იმ პირისთვის, რომელიც შემხებლობაშია პერსონალურ მონაცემებთან დიდ გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული ორგანიზაციების მიერ პასუხი უნდა გაეცეს იმგვარ კითხვებს როგორცაა, როდის, როგორ და რა საფუძვლით უნდა დამუშავდეს პერსონალური მონაცემები, ასევე საჭიროებს თუ არა ორგანიზაცია ტექნიკურ და ორგანიზაციულ ან/და ბიზნეს პრაქტიკის განახლებას. აღსანიშნავია, რომ ის ორგანიზაციები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ პერსონალური მონაცემების დაცვას და ახალ რეგულაციებთან შესაბამისობას, დგებიან არა მხოლოდ ფინანსური ჯარიმების, არამედ რეპუტაციული რისკის წინაშე.



ის ორგანიზაციები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ პერსონალური მონაცემების დაცვას და ახალ რეგულაციებთან შესაბამისობას, დგებიან არა მხოლოდ ფინანსური ჯარიმების, არამედ რეპუტაციული რისკის წინაშე.





რა არის პერსონალური მონაცემები?

პერსონალური მონაცემი წარმოადგენს **ნებისმიერ ინფორმაციას**, რომელიც ფიზიკური პირის **იდენტიფიცირების** საშუალებას იძლევა. თავის მხრივ ფიზიკური პირის იდენტიფიცირება შესაძლებელია ორი გზით:

პირდაპირ



როდესაც კონკრეტული მონაცემები (მაგ. სახელი, გვარი, დაბადების თარიღი ან პირადი ნომერი) ექსკლუზიურად ავლენს მის ვინაობას

არაპირდაპირ



როდესაც სხვადასხვა ინფორმაციის ერთობლიობით (მაგ. ადგილმდებარეობა, სამუშაო ადგილი და სამუშაო პოზიცია) შესაძლებელია კონკრეტული პიროვნების ვინაობის გამოვლენა

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პერსონალური მონაცემი ითვლება **განსაკუთრებული კატეგორიის** მონაცემებად და მათი დამუშავება დამატებით გარანტიებს და უფრო ძლიერ დამუშავების საფუძვლებს მოითხოვს. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები სენსიტიური ხასიათისაა და მათი არასწორი გამოყენებით შეიძლება დიდი ზიანი მიაღგეს ფიზიკურ პირს. განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი შეიძლება იყოს, მათ შორის და არა მხოლოდ:

რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილება

პოლიტიკური შეხედულებები

რელიგიური, ფილოსოფიური ან სხვაგვარი მრწამსი

გენეტიკური მონაცემები

ბიომეტრიული მონაცემები

ინფორმაცია ჯანმრთელობის შესახებ

სქესობრივი ცხოვრება

პროფესიული კავშირის წევრობა



პერსონალური მონაცემების მაგალითები



სახელი, გვარი



საცხოვრებელი მისამართი



ელ. ფოსტის მისამართი



ოჯახური მდგომარეობა



თითის ანაბეჭდი



ფოტო




სისხლის ჯგუფი



ნასამართლეობა




ანაზღაურება



პლასტიკური ბარათის ნომერი



ტელეფონის ნომერი








დაბადების თარიღი



რას გულისხმობს პერსონალურ მონაცემთა დამუშავება?

ტერმინი “დამუშავება” საკმაოდ ფართო მნიშვნელობისაა და გულისხმობს მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის:

-  შეგროვება, მოპოვება, წვდომა, ფოტოგადაღება
-  ვიდეომონიტორინგი, აუდიომონიტორინგი
-  ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება
-  შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა, განადგურება
-  გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით


მონაცემთა დამუშავება ხდება შემდეგი მეთოდებით:



ავტომატური საშუალებებით დამუშავება

რაც გულისხმობს მონაცემის დამუშავებას ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

მაგალითად: კომპიუტერის მეშვეობით გარკვეული მონაცემის გადამუშავება, მიმოცვლა და ა.შ.



არაავტომატური საშუალებებით დამუშავება

რაც გულისხმობს მონაცემის დამუშავებას ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე.

მაგალითად: როდესაც სრული პროცესი იმართება ტექნოლოგიური ჩარევების გარეშე, ხელით.



მონაცემთა დამუშავების პრინციპები

მონაცემები უნდა დამუშავდეს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- **კანონიერება, სამართლიანობა, გამჭვირვალობა, მონაცემთა სუბიექტის დირსების დაცვა**
მაგალითად: ორგანიზაციამ დეტალურად უნდა გააცნოს სუბიექტს თუ მისი რა მონაცემის დამუშავება იგეგმება.
- **კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნის არსებობა**
მაგალითად: თუ მონაცემი მუშავდება ერთი კონკრეტული მიზნით, დაუშვებელია მისი დამუშავება სხვა, შეუთავსებელი მიზნით.
- **თანაზომიერება და მხოლოდ შესაბამისი მოცულობით დამუშავება**
მაგალითად: თუ კონკრეტული მიზნის მისაღწევად საჭიროა მხოლოდ სუბიექტის ტელეფონის ნომერი და ელ-ფოსტის მისამართი, არ უნდა მოხდეს მისი სხვა მონაცემების (მაგალითად: პირადი ნომრის) დამუშავება.
- **მონაცემთა ნამდვილობის, სიზუსტის და საჭიროების შემთხვევაში განახლების უზრუნველყოფა**
მაგალითად: თუკი სუბიექტმა შეიცვალა ტელეფონის ნომერი, რომლის მონაცემებიც ექცეოდა დამუშავების პროცესში, უნდა მოხდეს აღნიშნული ტელეფონის ნომრის მონაცემების განახლება.
- **მონაცემების მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად საჭირო ვადით შენახვა**
მაგალითად: თუ მონაცემის დამუშავება, კონკრეტული მიზნის მისაღწევად, საჭიროებდა 2 დღეს, დაუშვებელია ამ ვადაზე მეტი ხნით მისი დამუშავება და შენახვა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მონაცემი უნდა დაექვემდებაროს დაუყოვნებლივ განადგურებას ან წაშლას ან შენახულ იქნას იმ ფორმით, რომელიც არ იძლევა პირის იდენტიფიცირების საშუალებას.
- **დამუშავების პროცესში შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების არსებობა**
მაგალითად: თუკი მონაცემების უსაფრთხოებისთვის აუცილებელია კონკრეტული ან/და განახლებული ტექნიკური საშუალებების არსებობა, მონაცემები სწორედ ამ საშუალებების მეშვეობით უნდა დამუშავდეს.



სასურველია

- ორგანიზაციის მიერ გაიწეროს იმგვარი შიდა პოლიტიკები, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს თუ რა ტიპის მონაცემი, რა ვადით და რა საფუძვლით მუშავდება და ინახება.
- სუბიექტებთან მოქმედებდეს შესაბამისი კომუნიკაციის ხაზი, რომელიც საშუალებას მისცემს სუბიექტს დააფიქსიროს თავისი პოზიცია ან/და მიიღოს ინფორმაცია მის მონაცემთან დაკავშირებით.
- მონაცემების დამუშავებამდე განხორციელდეს შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული მხარის შემოწმება და ანალიზი, რათა უზრუნველყოფილ იქნას მონაცემთა მაქსიმალური დაცულობა.



მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

მონაცემების დასამუშავებლად საჭიროა ერთ-ერთ შემდეგი საფუძვლის არსებობა:

- სუბიექტის **თანხმობა**
- **გარიგებით** გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება
- დამუშავება გათვალისწინებულია **კანონით**
- მონაცემი **საჯაროდაა** ხელმისაწვდომი
- **სასიცოცხლო ან/და საჯარო** ინტერესების დასაცავად
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის **დაკისრებული მოვალეობების** შესასრულებლად
- მნიშვნელოვანი **ლეგიტიმური ინტერესების** დასაცავად
- სუბიექტის **განცხადების** განსახილველად

თანხმობა

თანხმობა მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საფუძველია და მის მიმართ კანონი მკაფიო მოთხოვნებს აწესებს, კერძოდ:

- თანხმობის მოპოვებამდე სუბიექტს უნდა მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია თუ რა მონაცემი, რა მიზნით და რა ვადით დამუშავდება;
- თანხმობა უნდა გამოიხატოს აქტიური მოქმედებით, წერილობით ან ზეპირად;
- თანხმობის გამოხატვა დამოკიდებული უნდა იყოს პირის თავისუფლად და მკაფიოდ გამოსატულ ნებაზე;
- სუბიექტს უნდა ქონდეს უფლება ნებისმიერ დროს, ყოველგვარი საფუძვლის და განმარტების გარეშე გამოითხოვოს მის მიერ გაცემული თანხმობა, ხოლო გამოთხოვის პროცედურა ისეთივე მარტივი უნდა იყოს, როგორც თანხმობის გამოხატვა.



მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

აღსანიშნავია, რომ კანონი მეტი სიფრთხილით უკიდება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, შესაბამისად უფრო მკაცრ მოთხოვნებსაც აწესებს. მაგალითად: თუკი მონაცემის დამუშავებისას უნდა არსებობდეს სუბიექტის თანხმობა, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავებისას აუცილებელია თანხმობის წერილობითი ფორმით არსებობა. ამასთან, კანონი განსხვავებულ მოთხოვნებს აყენებს შემდეგ ნაწილებშიც:

არასრულწლოვანი	გარდაცვლილი	ბიომეტრიული	პირდაპირი მარკეტინგი	ვიდეომონიტორინგი	აუდიომონიტორინგი
16 წლამდე არასრულწლოვნის მონაცემების დამუშავების საფუძველს წარმოადგენს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ გაცემული თანხმობა, ხოლო 16 წელს ზემოთ არასრულწლოვნის შემთხვევაში თავად მისი თანხმობა. აღნიშნული წესი არ ვრცელდება არასრულწლოვნის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემზე, რომლის დამუშავებისთვის აუცილებელია თანხმობა გაიცეს მხოლოდ მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ.	გარდაცვლილი პირის მონაცემის დამუშავება დასაშვებია: (i) შესაბამისი კატეგორიის მონაცემისთვის გათვალისწინებული საფუძვლით; (ii) დამუშავება აკრძალული არ არის მონაცემთა სუბიექტის მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის მიერ; (iii) სუბიექტის გარდაცვალებიდან გასულია 30 წელი; (iv) დამუშავება აუცილებელია მემკვიდრეობით გათვალისწინებული უფლების განსაზოციელებლად.	ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში (მაგ. დანაშაულის გამოძიების, უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, აგრეთვე საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნებისათვის თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს).	იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაცია პირდაპირ და უშუალოდ ახორციელებს საქონლის, იდენის, მომსახურების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ტიპის სერვისების მიწოდებას ტელეფონის, ფოსტის, ელ. ფოსტის ან სხვა საშუალებებით, აღნიშნულ შემთხვევაში სუბიექტის მონაცემთა დამუშავება შეიძლება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით.	გულისხმობს საჯარო ან კერძო სივრცეში დამონტაჟებული საშუალებით ტერიტორიის ვიდეოჩაწერას, რომლის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, თუ მიზნის მიღწევა (მათ შორის და არა მხოლოდ: უსაფრთხოების და საკუთრების დაცვა, გამოცდის/ტესტირების მიმდინარეობის კონტროლი) შეუძლებელია სხვა საშუალებებით ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან.	გულისხმობს საჯარო ან კერძო სივრცეში დამონტაჟებული საშუალებით აუდიოჩაწერას, რომლის განხორციელება დასაშვებია: კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში ან/და თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა ან/და საოქმო ჩანაწერის საწარმოებლად ან/და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად.



მონაწილე პირები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი ვრცელდება:



ნებისმიერი პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ მონაცემთა დამუშავებაზე



იმ პირებზე რომლებიც საზღვარგარეთ არიან რეგისტრირებულნი, თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ახორციელებენ მონაცემების დამუშავებას

სპეციალური წარმომადგენელი

საზღვარგარეთ რეგისტრირებული დამმუშავებელი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ახორციელებს მონაცემების დამუშავებას, ვალდებულია დამუშავებამდე საქართველოში დანიშნოს ან განსაზღვროს სპეციალური წარმომადგენელი.

- სპეციალური წარმომადგენელი რეგისტრირდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ.
- დამმუშავებელს მონაცემთა დამუშავების უფლება წარმოეშობა მხოლოდ სპეციალური წარმომადგენლის რეგისტრაციის შემდეგ.
- სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა არ არის საჭირო იმ შემთხვევაში თუ (ა) პირი დაფუძნებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ან თუ (ბ) პირი დაფუძნებულია ევროკავშირის მიერ აღიარებულ მონაცემთა ადეკვატური დაცვის მქონე სახელმწიფოში.



მონაწილე პირები

- მონაცემთა სუბიექტი**
 ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება.
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი**
 ნებისმიერი ფიზიკური პირი, ორგანიზაცია ან საჯარო დაწესებულება, რომელიც განსაზღვრავს დამუშავების მიზანსა და საშუალებებს და უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი იღებს გადაწყვეტილებებს იმის თაობაზე, თუ რა ინფორმაცია უნდა მიიღოს, რატომ, როგორ და რა ვადით დაამუშაოს.
- დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი**
 ნებისმიერი ფიზიკური პირი, ორგანიზაცია ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით. დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა მონაცემები შეიძლება დაამუშაოს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში, თუ სახეზეა: (ა) სამართლებრივი აქტი ან (ბ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან დადებული წერილობითი შეთანხმება.
- თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები**
 იმ შემთხვევაში თუ მონაცემთა დამუშავებას ახდენს ორი ან ორზე მეტი პირი, ისე რომ ერთობლივად განსაზღვრავენ დამუშავების მიზნებს და საშუალებებს მაშინ აღნიშნულ პირებს თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები ეწოდებათ. თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს ევალება, რომ წინასწარ წერილობით განსაზღვრონ თავიანთი უფლებები და ვალდებულებები. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მონაცემთა სუბიექტებისთვის.



პასუხისმგებელ და უფლებამოსილ პირს შორის განსხვავების საილუსტრაციოდ წარმოგიდგინთ შემდეგ მაგალითს:

საქართველოში დაფუძნებული საკონდიტრო კომპანია საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების გასაწევად მონაცემთა სუბიექტებისგან იღებს პერსონალურ მონაცემებს (მაგ. სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, მისამართი). საკონდიტრო კომპანიას თავის მხრივ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული გადამზიდავ კომპანიასთან, რომელსაც გადასცემს მომსახურების შესახებ ინფორმაციას, შეკვეთების განსახორციელებლად.

წინამდებარე მაგალითის საფუძველზე საკონდიტრო კომპანია წარმოადგენს დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს, ხოლო გადამზიდავი კომპანია კი დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს.



მონაცემთა სუბიექტის უფლებები

კანონი ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს მონაცემთა სუბიექტებს, რაც საშუალებას აძლევს თითოეულ მათგანს აქტიური მონაწილის როლი იქონიოს დამუშავების პროცესში. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია:

იყოს ინფორმირებული

აღნიშნული უფლების რეალიზაციისთვის სუბიექტს შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია თუ ვინ, როგორ, რა საშუალებით, რა ვადით ამუშავებს მის შესახებ ინფორმაციას და რა გარანტიები და დაცვის რა საშუალებებია გათვალისწინებული აღნიშნული ინფორმაციის დასაცავად. სუბიექტს ასევე შეუძლია მოითხოვოს, რომ გაცნოს მის შესახებ არსებულ მონაცემებს და მიიღოს შესაბამისი ასლები.

მოითხოვოს მონაცემების კორექტირება

იმისათვის, რომ სუბიექტის შესახებ არსებული მონაცემი იყოს ყოველთვის სწორი, ზუსტი და განახლებული კანონი მას ანიჭებს უფლებამოსილებას მოითხოვოს მის შესახებ არსებული იმ ინფორმაციის გასწორება/განახლება/შეცვლა, რომელიც არის მცდარი/არაზუსტი/არასრული.

აკრძალოს დამუშავება

GDPR-ის თანახმად სუბიექტის წინამდებარე უფლებას ეწოდება - „იქნას დავიწყებული“, რაც კარგად ასახავს აღნიშნული უფლების მიზანსაც. თავის მხრივ, კანონი, იმაზე ხაზგასასმელად, რომ მონაცემთა სუბიექტს გააჩნია კონტროლი მის შესახებ არსებულ ინფორმაციაზე, ანიჭებს მას უფლებას მოითხოვოს დამუშავების შეწყვეტა და მის შესახებ არსებული ინფორმაციის წაშლა ან განადგურება.

გამოიხმოს თანხმობა

მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საფუძველს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა წარმოადგენს. შესაბამისად, მასვე გააჩნია უფლება გამოიხმოს საკუთარი თანხმობა ყოველგვარი დამატებითი ძალისხმევის, განმარტების და დასაბუთების გარეშე.

გაასაჩივროს დარღვევა

იმ შემთხვევაში თუ მონაცემთა სუბიექტი მიიჩნევს, რომ დაირღვა მისი უფლებები, მას შეუძლია მიმართოს შესაბამის ორგანოს (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს ან/და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს) და მოითხოვოს დარღვეული უფლებე(ებ)ის აღდგენა.



შეზღუდვები

მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა სუბიექტი წარმოადგენს მის შესახებ არსებულ ინფორმაციის მკონტროლებელს, კანონი მაინც აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს, რა დროსაც სუბიექტის გარკვეული უფლებები (მაგალითად: თანხმობის გამომხმობის უფლება) შესაძლოა შეიზღუდოს. სუბიექტის უფლების შეზღუდვის საფუძვლები კანონით მკაცრად არის გაწერილი და შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად.



დამმუშავებლის ვალდებულებები


დამმუშავებელი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული პრინციპებით და შესაბამისი საფუძვლით დაამუშაოს ინფორმაცია, უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელება და მიიღოს ყველა საჭირო ზომა მონაცემების დასაცავად. კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს დამმუშავებისთვის პასუხისმგებელი პირსა და დამმუშავებაზე უფლებამოსილი პირს და რიგ შემთხვევებში მათ განსხვავებულ ვალდებულებებს უწესებს.

ინფორმირება

იმ შემთხვევაში თუ ინფორმაციის შეგროვება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან ხდება, მას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, თუ ვინ, რა საშუალებით, რა საფუძვლით, რა ვადით, რა ტიპის მონაცემს აგროვებს. ასევე, იმ შემთხვევაში თუ მონაცემის შეგროვება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან არ ხდება, დამატებით უნდა მოხდეს წყაროს მითითებაც, თუ საიდან მოხდა ინფორმაციის მოპოვება.

აღრიცხვის ვალდებულება

უნდა აღრიცხოს თუ ვინ, რა მიზნით, ვის და რა ტიპის მონაცემს და რა ვადით ამუშავებს, რა ტექნიკური და ორგანიზაციული ზომებია მიღებული აღნიშნული ინფორმაციის დასაცავად. ასევე უნდა აღრიცხოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვები, თუკი ხორციელდება მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა.



თანხმობის გამოსვლის მექანიზმი

მონაცემის დამმუშავების ერთ-ერთ საფუძველს მონაცემთა სუბიექტის მიერ გაცემული თანხმობა წარმოადგენს, რომლის გამოსვლის უფლებაც თავად ამ სუბიექტს აქვს. დამმუშავებელი ვალდებულია შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომ მონაცემთა სუბიექტმა მარტივად, ყოველგვარი გართულებების გარეშე შეძლოს საკუთარი უფლების განხორციელება, კერძოდ თანხმობის გამოსვლა.

უსაფრთხოების უზრუნველყოფა

იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს მონაცემების უსაფრთხოება, დაცულ უნდა იქნას შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომელთა მეშვეობითაც თავიდან იქნება აცილებული ყველა შესაძლო რისკი, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მონაცემთა დაცვას. ვინაიდან ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება, კანონიც ავალდებულებს დამმუშავებელს პერიოდულად გადასინჯოს დაცვის მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განაახლოს ისინი.





დამმუშავებლის ვალდებულებები

კანონის ახალი რედაქციით დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს რამდენიმე მნიშვნელოვანი ვალდებულება დაემატა, მათ შორის:



მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება

წერილობითი ფორმით შეფასების წინასწარ ჩატარება სავალდებულოა იმ შემთხვევაში თუ (i) მაღალია რისკი, რომ საფრთხე შეექმნას ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს; (ii) ორგანიზაცია ავტომატიზებულ საფუძველზე იღებს იმგვარ გადაწყვეტილებას, რომელიც ეხება სუბიექტის სამართლებრივ, ფინანსურ ან სხვა არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხს; (iii) თუ მუშავდება დიდი რაოდენობით სუბიექტის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი; (iv) თუ ხდება სუბიექტთა ქვევის სისტემური და მასშტაბური მონიტორინგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. იმ შემთხვევაში თუ შეფასებით გამოვლინდება, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები მაღალი რისკის ქვეშაა, დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა აღნიშნული რისკის შესამცირებლად, ასევე უფლებამოსილია კონსულტაციისთვის მიმართოს პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურს. თუკი შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური გაუმჯობესებით ვერ ხერხდება რისკის შემცირება, დამუშავება არ უნდა განხორციელდეს.



ინციდენტის აღრიცხვის და რეაგირების ვალდებულება

იმ შემთხვევაში თუ დაირღვა მონაცემთა უსაფრთხოება, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

- აღრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი და მიღებული ზომები;
- ინციდენტის აღმოჩენიდან 72 საათის ვადაში შეატყობინოს პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახურს;
- დაყოვნების გარეშე, მარტივ ენაზე, აცნობოს მონაცემთა სუბიექტს ინციდენტის თაობაზე, თუკი სახეზე არ არის შეტყობინების გამომრიცხავი გარემოებები.



მეტად დაფარვის პრიორიტეტი

დამმუშავებელმა საწყის ეტაპებზე უნდა შეიმუშაოს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების დაცულობას და მაქსიმალურ გამჭვირვალობას. აღნიშნული მიზნით დამმუშავებელმა უნდა უზრუნველყოს იმგვარი სისტემის აწყობა, რომელიც საწყის ეტაპებზე იძლევა შემდეგ გარანტიებს:

- დამუშავება მხოლოდ იმ რაოდენობის მონაცემში, რაც საჭიროა დასახული მიზნის მისაღწევად;
- მონაცემების იდენტიფიცირება იქნება შეუძლებელი, კერძოდ მონაცემები შეინახება დაშიფრულად (მათ შორის: ფსევდონიმიზაციის ან ენკრიფციის მეთოდებით), რაც შეუძლებელს გახდის მონაცემის და მონაცემთა სუბიექტის დაკავშირებას და სუბიექტის იდენტიფიცირებას.



დამუშავების ვალდებულებები



პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

დამუშავებლები ვალდებული არიან დანიშნონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:

- თუ ისინი ამუშავებენ დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს
- თუ ახორციელებენ მონაცემთა სუბიექტის ქვევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს

ან თუ ისინი წარმოადგენენ:

- საჯარო დაწესებულებას
- სადაზღვევო ორგანიზაციას
- კომერციულ ბანკს
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციას
- საკრედიტო ბიუროს
- ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიას
- ავიაკომპანიას
- აეროპორტს
- სამედიცინო დაწესებულებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი უზრუნველყოფს:

- მონაცემთა დაცვის საკითხებზე ორგანიზაციის და მისი თანამშრომლების ინფორმირებას;
- შიდა რეგულაციებისა და დოკუმენტების შემუშავებას და მათ შესრულებაზე მონიტორინგს;
- ორგანიზაციაში შემოსული განცხადებების და საჩივრების ანალიზს და შესაბამის რეკომენდაციების გაცემას;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან თანამშრომლობას;
- მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას მონაცემთა დამუშავებასა და პროცედურებზე.

ინფორმაცია

მონაცემთა დაცვის ოფიცერი შეიძლება იყოს:

- ორგანიზაციის თანამშრომელი
- მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი

პასუხისმგებელ და უფლებამოსილ პირს შეუძლიათ განსაზღვრონ საერთო მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშნიდან ან განსაზღვრიდან, აგრეთვე მისი შეცვლიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მისი ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია აცნობონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, რომელიც აქვეყნებს ამ ინფორმაციას.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია პროაქტიულად გამოაქვეყნონ ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით.




ვიდეო და აუდიო მონიტორინგი

ვიდეო და აუდიო მონიტორინგის დამუშავების საფუძვლები უკვე განმარტებულია მონაცემთა დამუშავების კანონიერების თავში, თუმცა აღნიშნულ მონაცემთა სენსიტიურობიდან გამომდინარე კანონი არამხოლოდ ითხოვს შესაბამისი საფუძვლით დამუშავებას, არამედ დამატებით ჩარჩოებსაც უწესებს დამმუშავებლებს.

ორივე შემთხვევაში სავალდებულოა:

- დამმუშავებლის მიერ წინასწარ წერილობით განისაზღვროს მონიტორინგის მიზანი, მოცულობა, ხანგრძლივობა, წვდომის, შენახვის, განადგურების წესი და პირობები, მონაცემთა სუბიექტის დაცვის მექანიზმები
- ვიდეო/აუდიო მონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ უნდა იქნას გამაფრთხილებელი ნიშანი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: მარტივ და გასაგებ გამოსახულებას ვიდეო/აუდიო მონიტორინგის მიმდინარეობის თაობაზე და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელწოდებას და მის საკონტაქტო მონაცემებს



ვიდეომონიტორინგი

- საცხოვრებელი შენობის მონიტორინგი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: ხდება საერთო შესასვლელის და საერთო სივრცის მონიტორინგი და სახეზეა მესაკუთრეთა ნახევარზე მეტის წერილობითი თანხმობა.
- ვიდეომონიტორინგი დაუშვებელია გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში.
- სამუშაო სივრცის მონიტორინგი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.
- დამმუშავებელს ევალება გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებულ მასალებთან მიმართებით და ვალდებულია აღრიცხოს ვიდეოჩანაწერებზე წვდომის თითოეული შემთხვევა.



აუდიომონიტორინგი

- აუდიომონიტორინგის დაწყებამდე დამმუშავებელმა წინასწარ უნდა გააფრთხილოს პირი მონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ. ასევე უნდა განმარტოს, რომ პირს აქვს უფლება უარი თქვას აღნიშნულზე.



პირდაპირი მარკეტინგი და საერთაშორისო გადაცემა

მონაცემთა დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნით

დღესდღეობით, სატელეფონო და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მომსახურების თუ საქონლის შეთავაზება ერთ-ერთ ყველაზე აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს, რა მიზნითაც მუშავდება ათეულობით სუბიექტის მონაცემი.

პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემის დამუშავება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხდება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დამმუშავებელმა შექმნას მონაცემთა სუბიექტზე მორგებული სისტემა, სადაც თანხმობის გამომხმობის პროცესი იქნება მარტივი და გასაგები. დამმუშავებელი ვალდებულია აღრიცხოს, როგორც სუბიექტის მიერ თანხმობის მიცემის, ისე გამომხმობის დრო და ფაქტი.

პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა

პერსონალური მონაცემების სხვა სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა ნიშნავს მონაცემების გადატანას ან გაზიარებას საქართველოს ტერიტორიიდან სხვა იურისდიქციაში.

მაგალითად: თუ ტურისტული სააგენტო, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში ჯავშნების სამართავად იყენებს მესამე პირის პლატფორმას, რომელიც მდებარეობს სხვა ქვეყანაში, საქმე გვაქვს პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემასთან, რა დროსაც მომხმარებლის მიერ დასაჯავშნად გაზიარებული პირადი მონაცემები იგზავნება საქართველოდან სხვა ქვეყანაში.



გასათვალისწინებელია:

- თანხმობის გამომხმობის შემდეგ დამუშავება უნდა შეწყდეს მაქსიმალურად გონივრულ ვადაში, არაუგვიანეს 7 სამუშაო დღეში.
- თანხმობის გამომხმობის უფლება არის უსასყიდლო და დაუშვებელია რაიმე საფასურის ან შეზღუდვის დაწესება.
- დამმუშავებელი ვალდებულია პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების ვადით ან შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში შეინახოს აღნიშნული ინფორმაცია.



მონაცემთა საერთაშორისო გადაცემამდე მნიშვნელოვანია ორგანიზაციამ წამოჭრას შემდეგი შეკითხვები და მხოლოდ რომელიმე მათგანზე დადებითი პასუხის შემთხვევაში მოახდინოს საერთაშორისო გადაცემა კანონით დადგენილი წესით

- გათვალისწინებულია თუ არა მონაცემთა გადაცემა საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით?
- დაცულია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები?
- არსებობს მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა?
- მონაცემთა გადაცემა აუცილებელია სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად?
- არსებობს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი?



სანქციები

კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა რიგ სანქციებს ითვალისწინებს, რომლის ტიპი და ოდენობა დამოკიდებულია დარღვევის ხასიათსა და სიმძიმეზე. პერსონალური მონაცემის დამუშავებასთან დაკავშირებული დარღვევების გამოვლენა და შესაბამისი პასუხისმგებლობების დაკისრება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ ხდება.

ფ/პ - ფიზიკური პირი

ი/პ - იურიდიული პირი

ს/დ - სახელმწიფო დაწესებულება

ი/მ - ინდივიდუალური მეწარმე

ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

	ფ/პ	ს/დ	აიპ	წლიური ბრუნვა < 500,000 ლარზე		წლიური ბრუნვა > 500,000 ლარზე	
				ი/პ	ფილიალი	ი/მ	ი/პ
მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა							
ერთი პრინციპის დარღვევა				გაფრთხილება ან ჯარიმა 1,000 ლარი		გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი	
ერთი პრინციპის დარღვევა (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)				ჯარიმა 1,500 ლარი		ჯარიმა 3,000 ლარი	
ორი ან ორზე მეტი პრინციპის დარღვევა				გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი		გაფრთხილება ან ჯარიმა 3,000 ლარი	
ორი ან ორზე მეტი პრინციპის დარღვევა (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)				ჯარიმა 3,000 ლარი		ჯარიმა 4,000 ლარი	
მონაცემთა დამუშავება საფუძვლების გარეშე							
საფუძვლის გარეშე				გაფრთხილება ან ჯარიმა 1,000 ლარი		გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი	
საფუძვლის გარეშე (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)				ჯარიმა 2,000 ლარი		ჯარიმა 4,000 ლარი	
განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება საფუძვლების გარეშე							
საფუძვლის გარეშე				გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი		გაფრთხილება ან ჯარიმა 3,000 ლარი	
საფუძვლის გარეშე (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)				ჯარიმა 3,000 ლარი		ჯარიმა 5,000 ლარი	
ვიდეომონიტორინგის ან აუდიომონიტორინგის განხორციელების წესების დარღვევა							
ვიდეომონიტორინგის ან აუდიომონიტორინგის განხორციელების წესების დარღვევა				გაფრთხილება ან ჯარიმა 1,000 ლარი		გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი	



სანქციები

	ფ/პ	ს/დ	ააიპ	ი/პ	ფილიალი	ი/მ	ი/პ	ფილიალი	ი/მ
				წლიური ბრუნვა < 500,000 ლარზე			წლიური ბრუნვა > 500,000 ლარზე		
ვიდეომონიტორინგის ან აუდიომონიტორინგის განხორციელების წესების დარღვევა (დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას)				გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 4,000 ლარი		
ვიდეომონიტორინგის განხორციელება გამოსაცვლელ ოთახებში, ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ან სხვა ისეთ სივრცეში, სადაც სუბიექტს პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი აქვს ან/და თვალთვალი საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება				გაფრთხილება ან ჯარიმა 3,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 5,000 ლარი		
ვიდეომონიტორინგის განხორციელება გამოსაცვლელ ოთახებში, ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ან სხვა ისეთ სივრცეში, სადაც სუბიექტს პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი აქვს ან/და თვალთვალი საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება (დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას)				ჯარიმა 3,000 ლარი			ჯარიმა 5,000 ლარი		
გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევა									
გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევა				გაფრთხილება ან ჯარიმა 1,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი		
გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევა (დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას)				ჯარიმა 2,000 ლარი			ჯარიმა 4,000 ლარი		
პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავება წესების დარღვევით									
პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავება წესების დარღვევით				გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 3,000 ლარი		
პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავება წესების დარღვევით (დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას)				ჯარიმა 4,000 ლარი			ჯარიმა 6,000 ლარი		



სანქციები

ფ/3	ს/დ	ააიპ	ი/3	ფილიალი	ი/მ	ი/3	ფილიალი	ი/მ
			წლიური ბრუნვა < 500,000 ლარზე			წლიური ბრუნვა > 500,000 ლარზე		
მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევა								
მონაცემთა სუბიექტის რომელიმე უფლების დარღვევა			გაფრთხილება ან ჯარიმა 1,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 1,500 ლარი		
მონაცემთა სუბიექტის რომელიმე უფლების დარღვევა (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)			ჯარიმა 1,500 ლარი			ჯარიმა 3,000 ლარი		
ორი ან ორზე მეტი უფლების დარღვევა			გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 3,000 ლარი		
ორი ან ორზე მეტი უფლების დარღვევა (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)			ჯარიმა 3,000 ლარი			ჯარიმა 5,000 ლარი		
ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობა								
ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობა			გაფრთხილება ან ჯარიმა 1,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 1,500 ლარი		
ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობა (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)			ჯარიმა 2,000 ლარი			ჯარიმა 3,000 ლარი		
მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტი								
ვალდებულების შეუსრულებლობა			გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 3,000 ლარი		
ვალდებულების შეუსრულებლობა (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)			ჯარიმა 3,000 ლარი			ჯარიმა 5,000 ლარი		
მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობა								
ვალდებულების შეუსრულებლობა			გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 4,000 ლარი		
ვალდებულების შეუსრულებლობა (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)			ჯარიმა 3,000 ლარი			ჯარიმა 5,000 ლარი		



სანქციები

	ფ/პ	ს/დ	აიპპ	ი/პ	ფილიალი	ი/მ	ი/პ	ფილიალი	ი/მ
				წლიური ბრუნვა < 500,000 ლარზე			წლიური ბრუნვა > 500,000 ლარზე		
ინფორმაციის აღრიცხვის ვალდებულების შეუსრულებლობა									
ვალდებულების შეუსრულებლობა				გაფრთხილება ან ჯარიმა 1,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 1,500 ლარი		
ვალდებულების შეუსრულებლობა (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)				ჯარიმა 2,000 ლარი			ჯარიმა 3,000 ლარი		
ინციდენტის შეუტყობინებლობა ინსპექტორისთვის									
ვალდებულების შეუსრულებლობა				გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 3,000 ლარი		
ვალდებულების შეუსრულებლობა (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)				ჯარიმა 3,000 ლარი			ჯარიმა 5,000 ლარი		
ინციდენტის შეუტყობინებლობა მონაცემთა სუბიექტისთვის									
ვალდებულების შეუსრულებლობა				გაფრთხილება ან ჯარიმა 3,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 5,000 ლარი		
ვალდებულების შეუსრულებლობა (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)				ჯარიმა 5,000 ლარი			ჯარიმა 10,000 ლარი		
ზეგავლენის შეფასების ვალდებულების შეუსრულებლობა									
ვალდებულების შეუსრულებლობა				გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 3,000 ლარი		
ვალდებულების შეუსრულებლობა (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)				ჯარიმა 3,000 ლარი			ჯარიმა 5,000 ლარი		



სანქციები

ფ/პ	ს/დ	აიპ	ი/პ	ფილიალი	ი/მ	ი/პ	ფილიალი	ი/მ
			წლიური ბრუნვა < 500,000 ლარზე			წლიური ბრუნვა > 500,000 ლარზე		
თანხმობის მიღება და თანხმობის გამოსვლა								
ვალდებულების შეუსრულებლობა			გაფრთხილება ან ჯარიმა 1,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი		
ვალდებულების შეუსრულებლობა (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)			ჯარიმა 2,000 ლარი			ჯარიმა 4,000 ლარი		
თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები								
კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა			გაფრთხილება ან ჯარიმა 1,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი		
კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)			ჯარიმა 2,000 ლარი			ჯარიმა 4,000 ლარი		
დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები								
კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა			გაფრთხილება ან ჯარიმა 1,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი		
კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)			ჯარიმა 2,000 ლარი			ჯარიმა 4,000 ლარი		
მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის ან /და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა								
წესების დარღვევით გადაცემა			გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 4,000 ლარი		
წესების დარღვევით გადაცემა (დამამძიმებელი გარემოებ(ებ)ის არსებობისას)			ჯარიმა 4,000 ლარი			ჯარიმა 6,000 ლარი		



სანქციები

ფ/პ	ს/დ	აიპ	ი/პ	ფილიალი	ი/მ	ი/პ	ფილიალი	ი/მ
			წლიური ბრუნვა < 500,000 ლარზე			წლიური ბრუნვა > 500,000 ლარზე		
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსისთვის ან სამსახურის უფლებამოსილი პირისთვის ინფორმაციის ან /და დოკუმენტის წარდგენის წესის დარღვევა ან ცრუ ინფორმაციის მიწოდება								
ინფორმაციის ან /და დოკუმენტის წარდგენის წესის დარღვევა ან ცრუ ინფორმაციის მიწოდება			გაფრთხილება ან ჯარიმა 1,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი		
იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც 1 წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი			ჯარიმა 3,000 ლარი			ჯარიმა 5,000 ლარი		
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსისთვის ან სამსახურის უფლებამოსილი პირისთვის კანონით განსაზღვრული უფლების განხორციელებაში ხელის შეშლა								
უფლებამოსილი პირის მიერ უფლების განხორციელებაში ხელის შეშლა			გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 4,000 ლარი		
იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც 1 წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი			ჯარიმა 4,000 ლარი			ჯარიმა 6,000 ლარი		
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა								
			გაფრთხილება ან ჯარიმა 1,000 ლარი			გაფრთხილება ან ჯარიმა 2,000 ლარი		
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა								
			გაფრთხილება					
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 წლის განმავლობაში								
			ჯარიმა 3,000 ლარი					
სპეციალური წარმომადგენლის განსაზღვრასთან /დანიშვნასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა								
			გაფრთხილება ან ჯარიმა 3,000 ლარი					
სპეციალური წარმომადგენლის განსაზღვრასთან /დანიშვნასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 წლის განმავლობაში								
			ჯარიმა 5,000 ლარი					



გზამკვლევი



რა ტიპის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებთ და როგორ



გაქვთ თუ არა შემუშავებული პერსონალური მონაცემების დამუშავების და დაცვის შესაბამისი პოლიტიკები



გაქვთ თუ არა შესაბამისი საფუძველი მონაცემების დასამუშავებლად



უზრუნველყოფთ თუ არა თანამშრომლების ინფორმირებას/გადამზადებას



როგორ უზრუნველყოფთ მონაცემთა დაცვას, შეგროვების, გადაცემის და შენახვის პროცესში



ახორციელებთ თუ არა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული პროცესის სისტემატიურ მონიტორინგს



გაქვთ თუ არა დანერგილი შესაბამისი მექანიზმები სუბიექტის მოთხოვნის საპასუხოდ

კონტაქტი



გიორგი ლომიძე
მენეჯერი

KPMG Law Georgia
ტელ: +995 599 306080
ელ. ფოსტა: glomidze@kpmg.com



მარიამ ჩაკვეტაძე
უფროსი იურისტი

KMPG Law Georgia
ტელ: +995 593 304130
ელ. ფოსტა: mchakvetadze@kpmg.com

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია არის ზოგადი ხასიათის და არ ისახავს მიზნად მიემართოს კონკრეტული ფიზიკური თუ იურიდიული პირის გარემოებებს. მიუხედავად იმისა რომ ჩვენ ვცდილობთ ზუსტი და დროული ინფორმაცია მოგაწოდოთ, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ეს ინფორმაცია მიღების მომენტისათვის ან მომავალშიც იქნება ზუსტი.

© 2023 შპს KPMG Georgia რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და წარმოადგენს KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრ ფირმას, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში. ყველა უფლება დაცულია.

